ხელშეკრულება №27

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფ. ფარცხანაყანევი 26 ოქტომბერი 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ვარდენ ნიქაბაძის** სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირის **ვენორი ლაგირვანძეს** სახით (შემდგომში მიმწოდებელი) , რომლის პირადი ნომერია № 62006033783 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია:

ხის სამუშაოების შესყიდვა (cpv: 45422100), კერძოდ ხის დახერხილი მორების დაპობა და საჭიროების შემთხვევაში ღუმელის შესაბამის ზომაზე დახერხვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ **№1**-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით, შესაბამისად ანგარიშსწორების დროს მიმწოდებელი ხელზე აიღებს **200 ლარს, ხოლო 50 ლარი გადაირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშზე საშემოსავლო გადასახადის სახით.**

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. სამუშაოს შესრულება დასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურებით ეროვნულ ვალუტაში.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.5. ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს ნაწილ-ნაწილ შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი სამუშაოს შესრულებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელი ფარცხანაყანევი)

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს სამუშაოს შესრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 5 %-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდვლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: **სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლა** **ს/კ 221299805** **მის: წყალტუბოს რაიონი სოფ. ფარცხანაყანევი** **ტელ: 577 233 545** **საბანკო რეკვიზიტები:** **ს/ს „საქართველოს ბანკი"** **ბანკის კოდი BAGAGE22** **ა/ა GE23BG0000000119517200** **დირექტორი** ---------- **(ხელმოწერა)** **ბ.ა**	**მიმწოდებელი:** **ვენორი ლაგირვანძე** პ/ნ №62006033783 **მის.: წყალტუბო, კოპიტნარის დასახლება** **ტელ.:** **საბანკო რეკვიზიტები:** **ს/ს „საქართველოს ბანკი"** **ბანკის კოდი BAGAGE22** **ა/ა GE63BG0000000108328500** **ფიზიკური პირი** ---------- (ხელმოწერა) ბ.ა

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ხის სამუშაო, ხის მორების დახერხვა და დაპობა	$მ^3$	20	12.5	250
სულ ღირებულება					250

სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო

სკოლის დირექტორი /ვარდენ ნიქაბაძე/

ფიზიკური პირი /ვენორი ლაგირვანძე/

მიღება-ჩაბარების აქტი

სოფელი ფარცხანაყანევი 02 ნოემბერი 2018 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ფიზიკური პირი **ვენორი ლაგირვანძე**, წარმოდგენილი **ვენორი ლაგირვანძეს** სახით და მეორეს მხრივ, სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის **ვარდენ ნიქაბაძის** სახით, ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ **ვენორი ლაგირვანძემ 2018 წლის 26 ოქტომბრის №27 სელშეკრულების შესაბამისად** დააპო და დაამუშავა **10 მ³** ხის დახერხილი მორები (დარჩენილი აქვს **10 მ3** დახერხილი ხის მორები), შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 125 ლარს.

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ხის სამუშაო, ხის მორების დახერხვა და დაპობა	მ³	10	12,5	125
2					
	სულ ღირებულება				125

სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო

სკოლის დირექტორი: ---------- */ვარდენ ნიქაბაძე/*

ფიზიკური პირი ---------- */ვენორი ლაგირვანძე/*

მიღება-ჩაბარების აქტი

სოფელი ფარცხანაყანევი 12 ნოემბერი 2018 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ფიზიკური პირი **ვენორი ლაგირვანძე**, წარმოდგენილი **ვენორი ლაგირვანძეს** სახით და მეორეს მხრივ, სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის **ვარდენ ნიქაბაძის** სახით, ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ **ვენორი ლაგირვანძემ 2018 წლის 26 ოქტომბრის №27 სელშეკრულების** შესაბამისად დაასრულა სამუშაო. დააპო და დაამუშავა დარჩენილი **10 მ³** ხის დახერხილი მორები, შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 125 ლარს. ჯამურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 250 ლარს

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ხის სამუშაო, ხის მორების დახერხვა და დაპობა	მ³	10	12,5	125
2					
	სულ ღირებულება				125

სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო

სკოლის დირექტორი: ---------- */ვარდენ ნიქაბაძე/*

ფიზიკური პირი ---------- */ვენორი ლაგირვანძე/*